

რედაქცია... ნიკოლოზის ქუჩა... ტფილისი... გაზეთის დასაბამად... ფასი განცხადებისა...

ივერი



Table with 2 columns: 'დღის' (Day) and 'წელი' (Year). Rows show dates from 10 to 17.

„ივერის“ ტელეფონი № 227.

ქართული თეატრი... სუთხაბათს, 11 ოქტომბერს 1901 წ. მართლის დამამართლის საზოგადოების დასის მიერ...

კვირას, 7 ოქტომბერს, სათავად-აჯაფრანო ბანკის დარბაზში, დილის 10 საათზე...

ტფილისის კერძო სამკურნალო

მისილ გავანთავილი... მისილ გავანთავილი... მისილ გავანთავილი... მისილ გავანთავილი...

საღამო ოთხით: 6. 6. როსტომოვი. 5-6 ს. საქირურგო და კანისა. 7. 6. შაქაროვი. 6-7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია)...

დ. ა. გავანთავილი - ნერვებისა და შინაგანი. 12-1 საათ. ა. ბ. ბარსუკოვი - დედათა სნეულებანი...

პირველი კერძო სამკურნალო... მისილ გავანთავილისა... მისილ გავანთავილისა...

პირველი კერძო სამკურნალო... მისილ გავანთავილისა... მისილ გავანთავილისა...

საღამო ოთხით: 6. 6. როსტომოვი. 5-6 ს. საქირურგო და კანისა. 7. 6. შაქაროვი. 6-7 ს. ნერვებისა...

მისილ გავანთავილი... მისილ გავანთავილი... მისილ გავანთავილი...

ტფილისის ქალაქის გამგეობა... აცხადებს, რომ ქალაქ ტფილისის მესამე სესხის კუპონების დახურდა...

ახალი ამბავი... დღეს, 9 ოქტომბერს, საღამოთი, დაიწყება კავკასიელ შინამრეწველთა კრება...

დღეობენ სოფლად და შემდეგ ერთი ორად და სამად ძვირად ასაღებენ; ასე რომ მეტი ნაწილი მოგებისა...

საერთო განათლების სამინისტროში... საერთო განათლების სამინისტროში...

საერთო განათლების სამინისტროში... საერთო განათლების სამინისტროში...

საერთო განათლების სამინისტროში... საერთო განათლების სამინისტროში...

დრებას, რომ სამშობლოს მათსა კეთილდღეობა მიენიჭოს. ალექსანდრა... მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის ხელმწიფა...

მისი უდიდებულესობის ბერძენების დედოფლის ოლგა კონსტანტინეს ასულისაგან...

მისი იმპერატორებითი უმაღლესობის დიდის მთავრის გიორგი მიხეილის ძისა...

მისი იმპერატორებითი უმაღლესობის დიდის მთავრის გიორგი მიხეილის ძისა...

კოლონის ძისაგან ბორჯომიდან: „სიამოვნებით ვიკონებ თქვენს შორის გულითადად გატარებულს დღეებს. გულითადად გმადლობთ თქვენს დიდად თავაზიანი დეპეშისათვის, აგრეთვე ყველა იმ თავად-აზნაურთა წინამძღოლებს, რომლებიც საქართველოს რუსეთთან შეერთების სამხარულო დღესასწაულობას დაესწრნენ.“

მიხეილი.

„გთხოვთ გარდასცეთ პოლონის გვითუასა, თავ. ამილახვარსა და საქართველოს, იმერეთისა, სამეგრელოსი და გურიის ახალგაზრდა წარმომადგენელთ, რომლებიც მუდამ ჩვენთან იყვნენ საპატიო დარაჯათა, ჩემი გულითადად მადლობა იმ ერთგულობისა და სამსახურისათვის, რომელმაც ჩვენ ყველას ასე დიდად გვასიამოვნა.“

მიხეილი.

მისი იმპერატორებითი უმაღლესობის დიდის მთავრის გიორგი მიხეილის ძისაგან ბორჯომიდან:

„დიდი მთავრინა მარიამ გიორგის ასული და მე თქვენმა დეპეშამ დიდად გვასიამოვნა, ყველა ჩვენ ტფილისელ თანამემამულეთ ყურადღებისათვის სულითა და გულით ვმადლობთ.“

გიორგი

მისი იმპერატორებითი უმაღლესობის დიდის მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძისაგან ბორჯომიდან:

„გულით ნასიამოვნები ვარ ტფილისის თავად-აზნაურობის ყურადღებით და იმედი მაქვს ჯერ კიდევ მრავალს წელს გავატარებ თქვენს შორის მხიარულად.“

ნიკოლოზ მიხეილისძე.

მისი იმპერატორებითი უმაღლესობის დიდის მთავრის სერგეი მიხეილის ძისაგან მიხაილოვკადან:

„დეპეშისათვის გულწრფელად გმადლობთ; სამშობლოდან შორს მყოფი დიდის ყურადღებით ვადევნებ თვალ-ყურს ყველა სადღესასწაულო ამბებსა და თქვენთან ერთად ვიზიარებ მათ.“

სერგეი.

თეატრის მათიანი

„გაცრუებული იმედები“ კომედია 2 მოქმედ. აზიანისა. კვირას, 7 ოქტომბერს, ქართულმა დრამატულმა დასმა წარმოადგინა ახალი პიესა ქნის აზიანისა, ფული და ხარისხი სა და „ანჯილერი და დობელი“-ს ავტორისა: „გაცრუებული იმედები“, ორ მოქმედებიანი კომედია, როგორც თითონ ავტორი უწოდებს თავის ახალ ნაწარმოებს.

შინაარსი ამ „კომედიის“ აშენებულია მამათა და შვილთა აზრ-შეხედულობის შეხეთქებაზედ. ფულის მოყვარულნი დედა-მამანი უნივერსიტეტიდან სწავლა-დამთავრებულს შვილს მოვლიან: ერთნი-ექიმს, რომელმაც ფულები უნდა ჰხვეტოს და ყელთამდე ოქროში ჩასვას თავისი მშობლები, მეორენი-ვექილს, რომელმაც „მტყუანი უნდა გაამართლოს და მართალი გაამტყუნოს“ და დიდი ფული შეიძინოს, ორივემ ხუთათას თუმანი მზითვიანი ქალები უნდა შეერთონ და მშობლების გული გაახარონ. ჩამოდიან შვილები და აღმოჩნდა, რომ ექიმი ღარიბებს მუქთად სწავლობს, არამც თუ ფულს არ ახდევინებს, თითონ ჰყიდულობს „შეუძლებელთათვის წამლებს, ფეხით დადის ავადყოფებთან, „სჯულს“

არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს და უმზითვი რუსის ქალს ირთავს, ვეჭილი კიდევ—უსინდისო საქმეს არა ჰკისრულობს, ექიმის უფულო დას თხოვლობს, სტუდენტებისათვის ფულს აგროვებენ და სხ.

აი, ეს გახლავთ „გაცრუებული იმედები“ მშობლებისა. ეს გახლავთ ტიპური თავისებანი, ავტორის აზრით, აწინდელის უმაღლეს განათლებამ მიღებულ ყმაწვილ კაცებისა და აი, ამ ქარგაზედ მოუქსოვია ავტორს ორი მოქმედება თავისი კომედიისა: პირველი მოქმედება მოლოდინი შვილების ჩამოსვლისა და მეორე—ჩამოსვლა და გაცრუება ოცნება აღფრთოვანებულ იმედებისა.

ჯერ თვით პიესის შესახებ მოკლედ უნდა ვთქვათ, რომ იგი კომედია არ არის, არამედ ორ-მოქმედებიანი სცენები ჩვენის ცხოვრებისა, ნიჭიერად მოგვეჯიღი ვეჭართა ყოველ-ღირსეულ ცხოვრებიდან და სცენაზედ გადატანილი. ქნმა აზიანმა ორის წინანდელის პიესით დავემტკიცა, რომ იგი მშვენიერად იცნობს ჩვენს ვეჭართა ცხოვრებას და თითქმის ფოტოგრაფიულად გადმოაქვს პიესებში მათი სიტყვ-პასუხი და ზეჩვეულება. ქნის აზიანი კარგი ფოტოგრაფია, მაგრამ მეტად სწორედ და მართალი ფოტოგრაფია და აიტომ ზოგიერთი მისი სცენები, უნაკლულად და საესებით აღებული, ანუ, უკეთ ვთქვათ, გადმოღებული ცხოვრებიდან, გამოუსადეგარია, ვაღამლაშებულა დრამატულ ნაწარმოების სცენად და ხელს უშლის პიესის მიმდინარეობას.

მაგალითებ, პირველ მოქმედების უკანასკნელ მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე სცენაში (სამი სცენა შვილში) ლაპარაკი რუსულს ენაზედ

სწარმოებს. ასე ჰლაპარაკობენ გენა-ნაზიამი სწავლა-დამთავრებული სონა და რიზა. იქნება ეს ცხოვრების სინამდვილეს თანხმა და ქართველთა „გარუსების“ სურათის სწორედ აღმნიშვნელიც იყოს, მაგრამ თუ ზოგიერთი ნაწილი ქართველობისა დედა-ენაზედ ლაპარაკს იფიქრებს რუსულად ბაასი უფრო ენერგება, ვე იმას არა ნიშნავს, რომ ჩვენმა მწერლებმა რუსულს ენაზედ უნდა დასწრონ თავისი პიესები. რუსულის სიტყვების ჩარევა, რასაკვირველია, შეიძლება ალაგ-ალაგ დასახსიათებოდ, ხოლო მთელის სცენების რუსულს ენაზედ დაწერა ყოველად შეუწყნარებელია. ასეთივე რუსული სცენაა მეორე მოქმედებაში გაბოს, სონას და ვანოს ლაპარაკი. უცბად რომ შემოსულიყო გარეშე კაცი პირველის მოქმედების დასასრულს თეატრში, ასე ეგონებოდა, რუსული წარმოდგენა, და არა ქართული.

გაქაიანებულად მიგვაჩნია პირველს მოქმედებაში მესამე სცენა, სადაც გიგო და სტეფანე ჰლაპარაკობენ ერთმანერთან ექიმ შვილის მოლოდინის გამო, და მეორე მოქმედებაში სცენა გლეხ-კაცთან და ექიმის მძებნელ ბიჭთან. ეს ორი სცენა მოქმედება დასახსიათებლად არის შეტანილი პიესაში და „კომედიის“ ნასკვს წინ არა სწევს მისი გამოსახსნელად ლე გამოსარკვევლად, რაც კვლავ იმისი დამამტკიცებელია, რომ ეს პიესა „კომედია“-კი არ არის, სცენებია.

ამასვე ამტკიცებს ის გარემოება, რომ გიგოს და ლიზას—ორს მიმქმედს პიესის შინაარსთან და ნასკვნთან არავი არი კავშირი და დასკვიდებულობა არა აქვთ.

ორიოდე შეიქმნა „გაცრუებული იმედები“ არ არის „საქართველოს“ მოქმედება თვისებისა და ლირისების, ანუ ვინაობის გვართ აღნიშვნა. მაგალითებ, სტენაფანესათვის გვარად ზარალი იყო დედა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ კაცს თავისი თავი დაზარალებულად მიანიშნებდა შვილი გამოვზარდე, ექიმი გამოვიყვანე, ორი ათასი თუმანი დამიჯდა და ეს ზარალი ვერ აღიღებინაო. სონაც ორს ასეთს გვარს ზურთავს თავის რუსულს ლაპარაკში—გლუპოვიჩი (სულელაქი) და ნეპოკომტილოვი (ცინიკარტლამე). ვურჩევთ ავტორ-ქალს უკუაგდოს ეს არმოსაწონი წესი გმირთა დახასიათებისა. არ მოგვეწონა აგრეთვე მკურნალ „მამანოვისა“ და „ტარსაიძის“ გვარების ხმარება მოქმედებაში, რადგან სცენებს ამითი პასკვილური ხასიათი ეძლევა და ვერც გავს მნიშვნელობას ლიტერატურულ ნაწარმოებისას. დასასრულად, ავტორს ქართულის ენის უკოდნელობა ემჩნევა პიესის იმ ალაგებში, სადაც იგი მსახიობთა საყურადღებოდა სწერს შენიშვნებს, და სასურველია, რომ ამ მხრივ მეტი ყურადღება მიუქციოს იმ ენას, რომელიც მას იარაღად აუღია თავისი სამწერლო ნიჭის გამოსახსნელად აღსანიშნავია ისიც, რომ რუსული ქალის შერთვა ჩვენში ტაბუი მოვლენა არ არის და ავტორს ტყუილად გამოიყვანა იგი ჩვენის ახალიგაზრდობის დამახასიათებელ მოვლენად. სცენები საერთოდ სიამოვნებით მოსახსენიებოდა როგორც ნამდვილი სურათი ჩვენის ცხოვრებისა.

ეს სცენები ჩვენმა არტისტებმაც ისე ჩინებულად და ნიჭიერად წარმო

ფელეტონი

ბრუსილოვი მოქალაქე.

— მ... როგორ გამოიკვალა დრო, მეუბნებოდნენ ლომკაცი კრონტი, რომელიც ხონის შარაზე, ოლასკურის ხიდან წამოიწვია თამარ მეფის ნახენდი ჯარით. ჩემსავით ისიც გიორგი სამალაღიძისაგან იყო თურმე წყალტუბოს წვეული და ძალიან იამა ჩემი თანამგზავრობა. ნასიამოვნებმა დამიწყო ამბებით გართობა.

— ახლა, განაგრძო მან, ისე ჩაუვლის ტრეკი ბიჭი გუბერნიამი უპირველეს მოხელეს, რომ ზედაც არ შეხედავს, უწინ კი, ჩემს სიყმაწვილეში... გახლავარ ასე, ახლა რომ 1885 წელია, სამოცი წლის კაცი... თქვენ ნუ მოუყვდით ჩემს თავს, კაი დიდა გვარის თავადის შვილი ასი მხარის სიმორზე ჩამოხტებოდა ცხენიდან, უპირველესი მოხელე კი არა, მდივანბეგი რომ შემოხვედროდა წინ.

ერთხელ, შენ ხარ ჩემი ბატონი, საფერისკვალეობით გახლდით სოფელს ჰამაწოლეთში. მთელი თემი იქ იყო თავმოყრილი ეკლესიასთან. ხომ მოგვხსენებთ მაშინდელი სადღესასწაულო მართულობის ამბავი: ოქრო-ვეცხლი, ფარხა-აბრეშუმი, ღიბა ხავერდი, ძვირფასი მარადი ყველას აშვენებდა... თავმოყრილი კაცი და ქალი შალის და ჩითის

ტანისამოსით, გლეხობის გარდა, არ გავიდოდა დღეობაზე. „არ ვიჭირ ამ ჩემ თავს ჩემის ხელითვე მთელს თემში და რა გინდათ ახლოა,“ იტყოდნენ და დარჩებოდნენ თავიანთს ეზო-გარემოს შგნით...

იმ დღეს, რომ არ მოეყმატო, სწორედ მესამედი ვერ ეტეოდა საყდარში. ნაწირვეს, მღვდელ-მთავრის და მისი კრებულის გამობძანების შემდეგ, ფერად-ფერადს კაბებში გამოწყობილი ქალები ჩამოემწკრივენ ტრიალ მინდორის ერთს მხარეს, ხეების ეროში; მათ ახლო, დიდრიან ქაღებებს ქვეშ მოაავსდნენ მღვდელ-მთავარი და საპატიო მოხუცნი, თავად-აზნაურები. მათ უკან იდგა სათვალისეგროთ მოსული გლეხობა. ყველანი ემზადებოდნენ ჯერ ბურთის თამაშის და მერე ჯირითის საყურებლად. თავად-აზნაურობა, ვინც კი ჯანზე იყო, ორ მხარედ იყო გაყოფილი: ერთს მხარეს ლელო უნდა გაეტანა აღმოსავლეთით, მეორეს—დასავლეთით. თითოეული მხარე ორ-ორ წყებად იყოფოდა: ერთი წყება შეადგენდა მობურთალოთა ორ წილს, ეს ქვეითი იყო. მას მხარს უჭერდნენ გლეხებიც. მესამედი შეადგენდა მეორე წყებას,—სულ მართო თავად-აზნაურობისას. ის იყო ცხენასანი რაზმი. თამაშს იწყებდნენ ჯერ ქვეითები და, რამ გაუჭირდებოდათ, ბურთს გადასცემდნენ თავის მომხრე ცხენოსნებს. ორთავე მხარეს მოთავებოდა თავად სატევიანი შვილების გვარი, აგრეთვე ორათ გაყოფილი:

პირველის მოთავე: სიგელის სახელოდ ცხვირგდელი შვილებს ეძახდნენ და მეორისას—ტურაქამიაშვილებს. თავიანთ თავს-კი, გვარში გამოსარჩევად, პირველნი ბეყანი-შვილებათ უწოდებდნენ, ბაბუის შვილობით, და მეორენი—ზურაბი-შვილებს. იმ დღეს, მე რომ მოგახსენებთ, შევნიერი დარი იდგა. ხომ იცით, ჩვენმა შეჩვენებულმა იმერეთმა რა სამოთხის ტაროსი იცის, როცა დარი დარობს... მობურთალონი გავიდნენ მინდვრად და დადგენ ისე, რომ შუაში დატოვეს პატარა წრე და გზა, სამი კაცის გასატევი. მოვიდა მაღალის ტანადობის, მოხნიერებული, კარგად შენახული, დიდი სიმონ სატევიანი შვილი,—იმ წელს მისი მხრის რიგი იყო ბურთის სროლა,—დიდი ხაბურზაკის ოდენი ბურთი მოიტანა, კოხტათ გადაიგდო ყურთმაჯები,—მაშინ მთელს დასავლეთ საქართველოს კიდევ ყურთმაჯებიანი ჩოხა ეცვა, თითონ ვარ ამის მომსწრე,—დიად, იმას მოგახსენებდით, გადიგდო ყურთმაჯები, გასწორდა წელში, მოიმარჯვა ფაფანაკი, დაჭრა მარჯვენა ხელი მარცხენაში დაჭერილს სამფერა ბურთს და გადასძახა მოთამაშეებს:

— აბა, დაბახსენო, წადით რამდენიმე პატოსანი და სთხოვეთ მღვდელ-მთავარს ბურთის მიკურთხეველნი გამოგვიგზავნოს! თორმეტი საუკეთესო გვარის თავადის შვილები ეახლენ არქიელს მოციქულებად. — ეპისკოპოსმა მა-


შინეე უბრძანა ერთს არქიმანდრიტს და ორ მღვდელს, მაშინდელ ჩვეულებისამებრ, ბურთი ეკურთხებინათ.—არქიმანდრიტმა მიიღო სიმონ სატევიანი შვილისაგან ბურთი, ჩაღვა ხალხში და წარმოსთქვა: „ერნო და დარბახსენო! უფალმა ღმერთმა მისი მსგავსების—კაცის შრომა რომ დალოცა, მით დალოცვილი იქნა აგრეთვე ყოველივე ის, რაც პატოსანს შრომას ხელს უწყობს! ამ მრავალნიარ ხელის შემწყყო საგანთა შორის თავის ადგილი აქვს აგრეთვე კაი გუნებაზე ყოფნას, წესიერს ღიბის და სიმრთელის გამამაგრებელს, თვალის გამწვანავს, სიმკვირცხლე-ვაჟაკობის გამომაჩინებელ პატოსას თამაშს. შრომასთან ესენი ისე არიან ერთმანეთზე უხილავათ გადაბმული, როგორც—რუსთველის თქმისა არ იყოს—„გული, გრძობა და გონება“. თუ კაი გუნებაზე არა ხარ, ვარგა რადმე მაშინ შენი შრომა? არა! თუ მოლხენა არ შეგიძლია და ღიბინი გძულს, კაი გუნებაზე ყოფნას რით ეღირსები?—ვერაფრით!... თუ სიმრთელი არა გაქვს, თვალი არ გიჭრის, სიმკვირცხლე არ შეგწევს და ვაჟაკობა არ მოგდამს, მაშინ შეგეძლება მოლხენა? — არა! — რა მოგანიჭებს სიმრთელეს, მარჯვე თვალს, სიმკვირცხლეს და ვაჟაკობას, რაიცა ასე სასურველია ყველასთვის?—ღვიისაგან ნაკურთხი პატოსანი შრომა და, ხანდისხან, სულის აღმაფრთოვანებელი და გულის გადამწმელი მოლო-

ხენა და თამაში! ყველა თამაშობაში ბურთობა მეფეა და ჯირით დედოფალი! მაშ დალოცოს ღმერთმა თქვენი დღევანდელი მეფედ დედოფალი! იკურთხოს უფლისაგან თქვენი დღეს მასიამოვნებელი და სამრავალდღისოთ სამამოთმოსავონ ბურთი! ამინ!“

„ამინო“, იგრილა იმოდენმა ხალხმა. არქიმანდრიტმა ასხურა წმინდა იანმა ბურთს და გადასცა სიმონ სატევიანი შვილს. ამან დააპირა ბურთის აღმა ადგება, მაგრამ ამ დრო მთელს იმ თვალუწვდენს მინდორს იმდენი ადამიანისაგან ერთხმად გარსმა: „სსს... ბრუსილოვი მობრძანდება, ბრუსილოვო!“

თქვენთვის ახლა ამის გაგონებრა? არაფერი! და მაშინ,—თუ ქული მხურავს, ამას მარჯალს მოგახსენებ,—ისეთი ზავითი იქონი მთელს იქ შეკრებილს თემზე, როგორც ახლა რომ ვინმე უყვებ და ძახოს ხალხში: „ხელმწიფე მიბრძანდებაო!“

სატევიანი შვილიმა შეაჩერა ბურთი ყველამ ხმა გაკმინდა. ისმოდა მხოლოდ იქა-იქ ცხენების ფრთხვენის ხეხინი და ახლო მიმდინარე წყლის ჩქილ-შხული, რომლის ხმასთან ერთათ ნელი სიო სამამოთ ეფნებოდა იქა-იქაობას. რამდენსაწამს შემდეგ გამოჩნდა ბრუსილოვითი კახან-რუსის და თარჯიმანი კაი პალიკარტიანი აზნაურის, საყრელ მანდილა-შვილის თანახლებით უფრო რომ მოგვიახლოვდა, შეეჭ



დგინეს, რომ იშვიათად გვიანხავს ღვინის ცენახედ ასე კარგად წარმოადგენილი პიესა. საზოგადოდ ჩვენს არტისტებს ეადვილებათ ჩვენის სხვაობებიდან აწერილ პიესების წარმოდგენა და ამ საღამოსაც კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცეს, რომ თუ მათ ასიათი და თვისება შევსებული პიესა, ნიქიტ შესწევთ მისდა გასათვალისწინებლად. განსაკუთრებით კარგა იყვნენ ქ-ნი ვახუშია, სერკეზიშვილისა და ა. აბაშიძე და ქ-ნი ვ. აბაშიძე და სხვანი. ქ-ნი კარგარდის უფერული როლი ჰქონდა. მეოთხე სცენა, სადაც ორი დედა კეკელა და ნინო (ქ-ნი ჩერკეზიშვილისა და ვახუშია) ჰლაპაჯობენ ერთად, ისე ხელოვნურად წარმოადგინეს ამ ორმა არტისტმა ქალმა, რომ სწორედ დაატყვეს თეატრში დამსწრე საზოგადოება.

დასასრულ წარმოადგინეს არა ერთხელ ნათამაშევი ფარსი „მშვენიერ ელენეს მამიებელი“. ჯერ ერთი, სჯობს, ამ პიესას იშვიათად გვაჩვენებდნენ ხოლმე და მეორე, შემდეგისათვის სასურველია, რომ თაიფურავის როლი ისევ ბ-ნმა სე. მანძემ დასასრულს და ქ-ნი გვიშვილის ხრინწიანი დასრულიად შეუმუშავებელი ხმა არ ისმოდეს სცენიდან.

მ—ძე

უცხოეთი

ინგლისი. ლიბერალური იმპერიალისტები უარზე არიან ირლანდიელთა პარტიასთან მოკავშირეობაზე. 28 სექტემბერს ნიუკესტლში ელდარდ გეიმ, სხვათა შორის, შემ-

დგინეს სიტყვა: „ირლანდიელთა პარტიის მეთაურმა, რედმონდმა, ურჩია თავის პარტიას თავისუფალი და ჯანსაღი კიდობელი მოქმედება, ამიტომ იმას არ უნდა გაუკვირდეს, თუ სხვებმაც ამგვარად რჩევა მისცეს თავი-აფიანთ პარტიას: ლიბერალურებმა რომ ირლანდიელების დახმარებით ჩაიგდონ ხელში უფლებები, ლიბერალურების პარტია მოვალე შეიქმნება ირლანდიელებს შეუსრულოს ის პირობები, რომლებითაც მოხდება ამ პარტიების შეერთება. მაგრამ იმის შემდეგ, რაც უკანასკნელის ომის დროს ხდება, შეუძლებელია ინგლისის ამომრჩევლების დათანხმება ირლანდიისათვის ცალკე პარლამენტის დაწესებაზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ ირლანდიელები ბოლოს მიიღებენ პირულს, მაგრამ თანდათანობით და არა უცბად. მეორე მიზეზი, რომლის გამოც მე წინააღმდეგი ვარ ირლანდიელებთან დაკავშირებისა, ისაა, რომ მთავრობას ახლო მომავალში მრავალი საიმპერიო კითხვები ექმნება გასარჩევნი, და მოუხერხებელია, ამისთანა დროს მთავრობა 80 ირლანდიელ დეპუტატსაგან იყოს დამოკიდებული, რომლებიც მოკეთის თვლით არ უყურებენ ბრიტანიის ინტერესებს. ჩვენის მმართველობის სისტემის დასაცველად, რომელიც ორის პარტიის ბრძოლაზე დამყარებული, აუცილებლად საჭიროა, ლიბერალთა პარტიამ საკუთარის ძალდონით მოიპოვოს მტკიცე ნიდაგი და მე ეს შესალოდ მიმანიაო.“

— ამ ერთის წლის წინად დაწყებული პროპაგანდა რამდენიმე პუბლიცისტისა იმის შესახებ, რომ ინგლისის ბუნებრივი მოკავშირე

რუსეთი და არა გერმანია, თანდათან გაძლიერდა და ცხლა ისეთი გავლენიანი პირი, როგორც რობერტ გიფონია, პირდაპირ ამტკიცებს, რომ ინგლისი რუსეთს უნდა დაუხლოვდეს. გიფონის აზრით, მხოლოდ ოთხი მნიშვნელოვანი სახელმწიფო არსებობს: ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, გერმანია და რუსეთი. შეერთებულ შტატებმა უკვე გაუსწრო ინგლისს და ინგლისი ჯერ-ჯერობით ამოადგეცდა ისევ პირველი ადგილი დაიკიროს მრეწველობასა და ვაჭრობაში. რუსეთი კიდევ დიდ ხანს ვერ შეიქნება ინგლისის კონკურენტი. დარჩა გერმანია, რომელსაც ინგლისი დიდის სიფრთხილით უნდა ეკიდებოდეს. გერმანია, რომელიც ორს მოკავშირე სახელმწიფოთა შორის ჩაჩიროლი, იძულებულია ინგლისთან ეკონომიური ბრძოლა დაიწყოს ახალის ბაზრების მოსაპოვებლად, ამიტომ გერმანიისთან კავშირი ინგლისისათვის დღემდე და უნიადაგა. ინგლისმა გერმანიისთან საბრძოლველად მოკავშირეობა უნდა გაუწიოს რუსეთს და საფრანგეთს. იქნება, ჯერ კიდევ ბევრმა წყაღმა ჩაიაროს, ვიდრე ეს კავშირი საქმედ გადაიქცეოდეს, მაგრამ დღეს რომ ინგლისში ეს საგანი საკურადღებო კითხვად არის მიჩნეული—ეს ეჭვს გარეშეა.

— ინგლისის სამხედრო მინისტრი, ბროდრიკი, ერთს წერილში, რომელსაც ოფიციალური ხასიათი აქვს, სხვათაშორის, სწერს: „სამხრეთ აფრიკაში 200,000 ჯარის კაცი გვყავს და 450 ზარბაზანი; თითონ ინგლისში 100,000 ჯარის კაცი გვყავს და მზადებულია. ინგლისის სრულებით არ უძნელდება

ახალი რაზმების შედგენა და, თუ კიტჩენერმა მოითხოვა რამე, დაუკავებლივ დაეკმაყოფილებო.“

საზარანგაში. შესრულდა ვადა, რომლის გამავლობაშიაც კონგრეს-გაციები ნებართვა უნდა აეღოთ მთავრობისაგან. ხუთიოდე დღის შემდეგ სასამართლოები შეუდგებიან იმ კონგრესაციათა ქონების ლიკვიდაციას, რომლებიც ახალს კანონს არ დამორჩილდნენ. ზოგიერთმა კონგრესაციებმა უკვე დასტოვეს საფრანგეთი, ზოგმა თავისი ქონება კერძო პირების სახელზე გადაიტანეს; ყველა ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაწვრილებითი ცნობები აქვს მოკრეფილი.

საბერძნეთი. რუმინის სტუდენტების საბერძნეთში მისვლის გამო გაზეთი „Messager d'Athenes“ სწერს, „ვერობის გაზეთები ამ ფაქტს ისე უყურებენ, როგორც პირველს ნაბიჯს რუმინისა და საბერძნეთის შეკავშირებისას ბალკანეთის სლავიანთა სახელმწიფოების წინააღმდეგ... რუსეთს ადგილად შეუძლიან სერბია, ჩერნოგორია და ბოლგარია დააკავშიროს იმ მართლმადიდებელთა წინააღმდეგ, რომელთაც ეროვნული ნათესაობა არა აქვთ სლავიანებთან. აი სწორედ ეს მოსაზრება ჰხდის რუმინისა და საბერძნეთის კავშირს აუცილებელს საჭიროებად. მართალია, რუმინია და საბერძნეთი როგორც სამხედრო და საზღვაო ძალით, ისე ეკონომიურის ძალ-დონით, სერბიასა, ბოლგარისა და ჩერნოგორიისთან შედარებით ბევრით მაღლა სდგანან, და ჯერ-ჯერობით საბერძნეთს და რუმინიას არავითარი შიში არ მიეწივს, მაგრამ მაინც მუდამ სახეში

უნდა გვექონდეს, რომ ამ სასაზღვაო ხელმწიფოს ისეთი ძლიერი გველი ჰყავს, როგორც რუსეთში. საქმის ამ მდგომარეობით აინსება ბუნებრივი მისწრაფება რუმინისა და საბერძნეთისა მისცენ ერთმანეთს ხელი და ისე იმოქმედონ.“

ბერძნეთი. სოციალ-დემოკრატთა პარტიამ გამოსცა მანიფესტი, რომლითაც იწვევს ხალხს წინააღმდეგობა გაუწიონ ახლის საბაჟო ტარიფის დამტკიცებას. ეს კანონპროექტი რეისტრატში უნდა გაი-სინჯოს და დამტკიცდეს.

სამხრეთი აფრიკა. გეილბრონის და კონსტანტინის შუა მეორე მშვერავი რაზმის ესკადრონს თავს დაესხა 500 კაცისაგან შემდგარი ბურების რაზმი. ინგლისელებს ვილსონი მსარდლობდა, გაიმართა ცხარე ბრძოლა; 13 ინგლისელი ჯარებმა ტყვედ წაიყვანეს. ინგლისელებმა მხოლოდ დაღამებისას დასძრეს ბურები თავიანთის პოზიციიდან. კიტჩენერი არ იუწყება, რა ზარალი მოუვიდათ ბურებს.

შურნალ-გაზეთთა მიღება

(ამოკრეფილი ამბები)

მეტად გრძელის ტუნელის გათხრა განუზრახავს ინგლისის მთავრობას. ახრადა აქვს კუნძული ვაიტი ინგლისის შეუერთოს სიგრძე ამ ტუნელს 40 ვერსი ექმნება. დაჯდება ამ ტუნელის გაყვანა, როგორც გამოანავარიშებულია, 5 მილიონი მანეთი. მუშაობას მომავლის წლის სექტემბრიდან შეუდგებიან და დამთავრებენ ერთი წლის შემდეგ. მაშინ შესაძლებელი იქნება ლონდონიდან ვაიტიში წყლის ქვეშ გაყვანილ ტუნელით ერთ საათში ჩასვლა.

იპაონის მთავრობას ევროპაში ტოკოს უნივერსიტეტის პროფესორი მურაკაძე გაუზრახავია ორის წლით. პროფესორმა უნ

თავადთა შორის ფურქუნით გადალაპარაკება.

— ვისი წვეული ბრძანდება?
— ვისი წვეული უნდა იყოს? მაგრამ ამისი ვერავინ ვერაფერი გაიგო. მაშინ ყველას გაუხიციანა გულში იმედმა, ეგების ჩემი დაპატიჟება მიიღოს და მეწვიოსო. არ დარჩენილა თავადთა და აზნაურთა შორის არავინ, ვისაც ფეხ-მოტეხილი ქათამი-კი ეგულებოდა ეხოში, რომ ბრუსილოვი არ მიეწვიოს.

— ბრუსილოვი თურმე სხვა აზრით იყო წამობრძანებული, რომ გავგო, დიდ ძალი თემი იქნება ჰამა-წილეთშიო, — და ასე უთხრა ყველას: დაპატიჟებისათვის მადლობელი ვარ, ვიფიქრებ ცოტა ხანს და შემდეგ მოგასხენებთ ვის ვეწვევო. და მაშინვე ბრძანა: თამაში დაიწყონ, მე ნუ მერიდებიანო.

მე აღარ შევსულვარ თამაშში. შვილი მყავდა მისაბარებელი ქუთაისის პანციონში სახელმწიფო ხარჯით და, რაკი ბრუსილოვი დაკინახე, გადავწყვიტე მისთვის შემებრალე-ბინა თავი. უკეთესს დროს საღვიმონიდი: ერთსა და ერთს მოსახლისას, ვისთანაც ჩავიდოდა, საუკეთესო გვარის თავად აზნაურნი იქ ჩაყვებოდა და ყველანი ერთხმით დამაწვედნენ ბანს, რაკი თხოვნისათვის მარჯვე დროს შევარჩევი... ამიტომაც თავალს არ ვაშორებდი მას, ახლო-მახლო ვუტრიალებდი ღრამდენიმე ტკბილის სიტყვით თავი აუღებე მის თარჯიმანს. მხოლოდ ერთის წამით მოკავშირე თვალი,

მაშინ, როცა სატევიანიშვილმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, აისროლა ბურთი.

იმდენი ვაჟაკის მკერდიდან, როგორც ერთი კაცისაგან, მოისმა მამაკური კიჟინი.

ტურაქამიაშვილების საკერძოთ იმ დღეს ერთობ ცოტა მობურთალი იყო მოსული და ამიტომაც გადაეწყვიტათ აგდებისათვის როგორმე ეშოვნათ ბურთი და იმ წუთშივე თავიანთ ცხენოსნებისთვის მიეცათ ლელოსთან მისატანათ. მართლაც, წყობილობის ისეთი თადარიგი დაეჭირათ, ისე დაეყენებინათ თავიანთი მომხრე ქვეითნი თუ ცხენოსნები, რომ ასროლისათვის ბურთი მათ ჩაიგდეს ხელში და გადასცეს თავიანთ საუკეთესო ცხენოსანს ზურაბ ცალკალამიძეს, შეგნიერს ყაზახურის ჯიშის ცხენზე ამხედრებულს და მარჯვე ადგილს გაჩერებულს. ზურაბმა დაიჭრა ბურთი კბილით, დამოკლა სადავე, რადგანაც მობურთალნი მიჯრით იდგნენ და ჯგლითი იყო, და, რაც შეიძლებოდა, სიმალით, მიმოაძვრენდა ჯარის სისქეში ბედაურს, სანამ მისი დასტის ცხენოსნები გზას გაუხსნიდნენ და სამის მხრით შემოერთებულნი მცველებად. მაშინ-კი, მოგეცათ სიცოცხლე, მისცა ცხენს სადავე და წავიდა შეილდის განატყარცი ისარივით. მას ცხენ-და-ცხენ მიჰყვებოდნენ სამოცი მომხრე, უკან-კი მისდევდნენ დანარჩენი მობურთალნი. თვითონ ზურაბი შედგა უხანგებზე და მარჯვენა ხელით მუნჯურათ ანიშნებდა თავის

მიმყოლებს—ვის საითყენ, რა სადავით და რა სიმალით წაყვანა თავთავისი ცხენი... ისე გაიტაცა სიხარულმა ტურაქამიაშვილების მხარე, რომ მოჰყვნენ ძახილს: „ლელო ჩვენია! ლელო!“ ბავშვები ღობეებსა და ხეებზედ აღიოდნენ და ისე იძახდნენ „ლელო!“; ქალები ფერადს მანდილებსა და ლეჩქებს აფრიალებდნენ... ის-ის იყო ზურაბი ბურთის სასროლზე უახლოვდებოდა ლელოს, შეიქნა კიდევ ერთი კიჟინი: „ლელო ტურაქამიაშვილებს! ვაჟმარჯოს ზურაბს!—ზურაბ! ზურაბ!“ მაგრამ... გგონიათ ისროლა და გაიტანეს ლელო?—არ შეგვაშოვს ჰირმა!

პირველში, როცა ტურაქამიაშვილებმა მათი ხერხი იხმარეს, ცხვირგდელიშვილებისანი შეწვნენ, მაგრამ მაშინვე გამოერკვნენ და ასე, ოთხმოც-და-ათიოდე საუკეთესო ცხენოსანნი მხეკაბუკ ბურჯიშვილის წინამძღოლობით ხმა გაკმენდილნი გამოუდგნენ ბურთის წასართმევით. რაკი იმდენ ბრბოში ვერ გაატანდნენ, დროის მოსაგებათ გადაუხვიეს მინდვრად, დარჩნენ ერთ წყებად ლარივით და, როცა მარჯვე ადგილი იშოვნეს, ძალზე გააქნეს ცხენები, ატაკეს მოსახლის ღობეს მკერდით, თივასავით წააწვივნეს მიწაზე და დაუარეს თავი ზურაბის დასტას. ქუსლნაკრავი და აღვირ მინებებული ცხენები ვაიშა-ლენ წელში, მიწის სისწორეზე გამართეს სახირებში ძარღვებ დაჭიმული ფეხები და მუკლით ბალახს ეხებოდნენ, ისე ქარბუქივით გასწიეს

ძუ-ფაფარ აფრიალებულნი. მოისმა ყივილი: „ვერ წაგვიხვალ! ბურთს ხელი!“ ეს იყვნენ მხეკაბუკის დასტისანი. რაკ იყვნენ, ღმერთო, მართლა მხეკაბუკნი იყვნენ! უნაგირზე ლერწამით სწორათ იჯდნენ, გაჩეჩილ სქელ თმაზე ფაფანაკ გადადებულნი, მხარ-მკერდში სქელ განიერი და წელში კალამსავით წვრილნი,—ერთს ვერ ნახავდით ახლანდელსავით ღიბიანს,—სწორი და ლამაზის სახისანი, შავ გამომეტყველ თვალბიანნი, მტრებსაც კი გულის ხალისზე მოიყვანდნენ!..

მაღე გათავდეს ჩვენი ქვეყნის მტერი, მაღე ისინი დახვდნენ წინ ზურაბის დასტას. ზურაბმა, უკან გაბრუნება არ იკადრა და, რაკი წინ წასვლა აღარ შეეძლო, ჰქნა განი თავის დასტინათ და მოინდო-მა, ცხენის იმედნეულმა, მარჯვით მოყარა და ისე მიეტანა ბურთი ლელოზე. მაგრამ როგორც-კი იბრუნეს პირი, ქნებ-ქნებთივე შეერი-ენ მათ მხეკაბუკისანნი... თვით მხეკაბუკმა გამოიღო ფეხი უხანგე-ბიდან, ისკუპა და დაახტა ზურაბის ცხენს გავაზე, მოხვია ზურაბს ხელები და გრიგალივით მოსდო ხმა იქაურიბას: „აბა, ვაჟაკებო, მიშველეთ, მიმყვანიეთ ეს ასე ცხენიან ბურთიანთ ლელოზე!“ ზურაბს მაშურა მისმა მომხრემ, რომელმაც გამოართვა პირიდან ბურთი. მას მივარდა მიწინააღმდეგე, ორსავე მხარეს მის-მისი მომხრე წამოეშველა და შეიქმნა ჯგლითი. მხედარი მხედარზე მიდიოდა ცხენის

მკერდით; ამ დროს ქვეითებმაც მოაწიეს და შევიდნენ ცხენოსნებში. გახურდა ხელჩართული, ცხენოსან-ქვეითის შერეული მგვირგობა ბურთის შოვნისათვის... გასაკვირველი ის იყო, რომ იმდენ ჯარში, ცხენების მიგდებ-მოგდებშია და ყალყზე შედგომა-გახტუნების დროს, კაცს არაფერი უშავდებოდა! როგორ ვთქვა, სულა ცოდილო, თავა-ა მაშინდელი ბედაურები ბევრს ახლანდელს ემაწვილენს! ჯობდნენ ხნითა და საქციელით...

ჯერ კიდევ შუადღეს გადაცილებული არ იქნებოდა, ბურთი კიდევ იმავე ადგილს იყო. ჩვეულებისამებრ სამი წილი თამაშობდა, ერთი დასვენებული იყო და გულის ფანქ-ქალით უყურებდა მომხრეებს... ჰაერში მალდა აღიოდა გაოფლიანებული ცხენების და კაცების ორთქლი, ოფლის სუნია მძიმეთ ხედებოდა ცხვირს, ისმოდა მოთამაშეთა გუგუნე და ცხენების ფრთხინვა-ქიხინი. მთელი თემი ირგვლივ შემოერთდა ახლა სამხარეთამ ერთ წრეთ შეგგუფებულს მობურთალთ, მათს მიხლა-მოსლა და გაწევ გამოწვევას...

უცბე მოისმა თავზარ-დაძკემი, გულის განმგმირავი და წელის მომწყვეტი ღრიალი:
— „ბრუსილოვი მოჰკლეს!“
თ. მაგაძე.
(დასასრული იქნება).

და დაიაროს ვეროპის არქივები და შეჭრილობის რაც იქ ცნობები მოიპოვება ვეროპისა და იპაონის ურთ-ერთ დამოკიდებულუბის შესახებ უწინდელს დროში, როდესაც იპაონია ვეროპიელთათვის ჯერ კიდევ საიდუმლოდ შეადგენდა. მურაკაძის უკვე დაუთვალეობა იტალიის და პოლანდის, შემდეგ ლონდონის გარეშე საქმეთა სამინისტროს და ინდოეთის არქივები. ამბობენ, პროფესორს ბევრი მეტად საყურადღებო ცნობა შეუკრებია. ინგლისიდან მურაკაძე პორტუგალიასა და ესპანიაში წავა, შემდეგ ისევ იტალიაში დაბრუნდება.

ამას წინადა დაიბეჭდა ამერიკელ ეკონომისტის ჰენრი ჯორჯის ბიოგრაფია დაუწყებია იგი ჯორჯის შვილის. როგორც ამ ბიოგრაფიიდან სხანს, „პროგრესისა და სიღარიბის“ ავტორი დიდს გაჭირვებას ითმენდა, ხშირად მშვიტი იყო თურმე მამინ, როდესაც იმის წიგნის წყალბობით გამოემკმეღნი მიღიდებოდნენ.

ლუკსმულ წარწერათა გამოკვლევი ვალდებარ ბერკი ოსმალეთში წასულა ახალ წარწერების მოსაძებნად და წასაკითხად. კონსტანტინეპოლის მუზეუმი ბერკს უნახავს ჯერაც წაუკითხავი ლუკსმული წარწერა, რომლის პირი ბერლინიში გაუგზავნა. შემდეგ მეცნიერი სამუშაოში წასულა, ხოლო იქედან ტრაქტა, კესარიასა, მალატასა და დიამბერკირში წავა.

მაქსიმ გორკის მოთხრობა „Томас Гуп-Джонс“-ი ინგლისურს ენაზედ გადაუთარგმნია ქან იზაბელა ხაბუღს. მალე დაიბეჭდება კიდეც ეს მოთხრობა.

ერთი ინგლისური გაზეთი შემდეგ ამბავს გადმოგვცემს. სასამართლოში ირჩეოდა ერთი საქმე მეგვიდრეობის თაობაზედ. დაუბარებიათ ერთი მოწმე და, სხვათა შორის, უკითხნიათ: „გაყვით თუ არა ძმები და დებიო?“ მოწმეს მიუგია, რომ ერთი ძმა მყავდა, მაგრამ 150 წელიწადი მას შემდეგ, რაც იგი გარდაიცვალა. სასამართლოს უფიქრია, რომ სასაკლოდ გვიგდებოდა და შენიშვნა მიუცია მოწმისათვის, მაგრამ ამ უკანასკნელს საბუთის ქაღალდები წარუდგენია და დაუმტკიცებია, რომ იმისი ძმა მართლაც 150 წლის წინად მომკვდარა. აი საქმე როგორა ყოფილა, მოწმის მამას ცოლი ოცის წლისას შეურთავს. მალე ვაჟი-შვილი გასჩენია, რომელიც იმავე წელს მომკვდარა. შემდეგ მამაც დაქვრივებულა და მეორე ცოლი სამოცდა თხუთმეტის წლისას შეურთავს. გასჩენია ეს მეორე შვილი, მოწმე. სასამართლოში როდესაც საქმე ირჩეოდა, მოწმე 94 წლისა იყო; თუ მიუმატებთ ამას 56 წელს, რომელიც პირველის ძმის სიკვდილიდან მეორეს გაჩენამდე გავიდა, გამოვა სწორედ 150 წელიწადი.

ბილიარდის მეფეებად, უბი-ველესს მოთამაშებდად დღეს ვეროპაში გუგო კერკაუ და ჟან ბრიუნო ითვლებიან. ამას წინად ეს ორი მოთამაშე გაჯიბრებულან ციურისში. გაუმარჯვენა გუგო კერკაუს, რომელსაც ერთხანად, გაუცდენლად 7,566 კარამბოლი გაუკეთებია აქამდე შეუცდენლად 3,000 კარამბოლზედ მეტი არავის გაუკათებია კერკაუ ენლა მოსკოვში მიდის თურმე.

დეკემბა

(„რუსეთის დეკემბათა სააგენტოსაგან“).

6 ოქტომბერი

კატაპაზობანი. სამხედრო მინისტრმა გზათ გამოიარა. — საშუალო აზიის რკინის გზის ბუხარის შტო 15 ოქტომბერს გაიხსნება.

ბათუმი. რკინის გზის მატარებელში კაცის მოკლისა და გატარების თაობაზედ შემდეგი აღმოაჩინეს: სადგურ ლანჩხუთსა და ნიგოთის შუა მოკლეს დარაჯი ალი-შე-

ბედინ-ოლი და დასკრეს მერტყე-ლე კულაკოვი. ეს ბოროტ-მოქმედობა სამს ადგილობრივ მცხოვრებს ჩაუდენია; ამთაგან ერთი დაატუსაღეს კიდეც. მერტყელს გარდა ერთი მგზავრიც გაუცარცავთ. ვაგონში ბრძოლის დროს ერთი ბოროტ-მოქმედი განუწყვეტილვ თოფს ისროდა.

კიევი. სამხრეთის გუბერნიებიდან დიდძალი მოწმე ხალხი ბრუნდება. მუშები მომეტებულ ნაწილად მოვილევისა, ჩერნიგოვისა, კურსკისა და პოლტავის გუბერნიებში მიდიან.

ნიჟნი-ნოვგოროდი. საქმის გარჩევის დროს მოწმებმა ინჟინრებმა მაკაროვმა და ველიკანოვმა სთქვეს: სორმოვის დამბის დაქცევა წინადავე უხადი იყო, ასე რომ ან საქმეს ამშენებლებს ვერ დაეპარალებთო. ამავე მოწმებმა სთქვეს, ამშენებლების ზოგიერთი სხვა საქციელიც იმით აიხსნება, რომ ისინი განსაკუთრებულ გარემოებაში მოქმედებდნენო. მოწმების გამოკითხვა დღეს გაათავეს. სასამართლომ ჰკითხა ექსპერტებს: რამდენი მასალა დაქირდებოდა სორმოვის დამბის ამშენებასო. საღამოთი სასამართლოს კრება განახლდება.

7 ოქტომბერი

პეტერბურგი. მის უდიდებულესობის საკუთარის ამალის დღესასწაულის დღის გამო 4 ოქტომბერს ხელმწიფე იმპერატორმა და დედოფალმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა გააბეცნიერეს და დაესწრნენ სპალში მყოფ ამალის რაიმის პარაკლის, რომელიც დღესასწაულის გამო გარდახდილ იქმნა.

ვაშინგტონი. საერთა-შორისო უფლებების პროფესორი რუსეთისა მარტენსი დღეს შეერთებულ შტატების პრეზიდენტ რუზველტთან იყო.

კოპენჰაგენი. 7 საათზედ გარდაიცვალა ტინი სოვეტნიკი კარლ-ფრიდრიხ ტიგენი. მიცვალებული დამაარსებელი იყო „დებეშათა დიდ ჩრდილოეთის საზოგადოებისა“, „ნავონობის შეერთებულ საზოგადოებისა“ და დანიის სხვა დიდ საქმეთა მეთაური.

პარიჟი. სანტოს-დიუმონი თავის პაეროსტატით გაფრინდა დღეს სენ-კლუდგან ეიფელის კოშკისაკენ, გარს შემოაუარა ამ კოშკსა და უკანვე დაბრუნდა 30 წუთისა და 40 წამის განმავლობაში.

პარუბა. 6 ოქტომბერს პრევილიანის რკინის გზის პილიავის შტოზედ, მე-38 ვერსტზედ, საქონლისა და სახალხო მატარებელი ლიანდაგიდან გადავარდა; ორი კონდუქტორი მოკლულია და რამდენიმე მგზავრი დაჭრილი; ორი ვაგონი დაიშხვრა. როგორც ამბობენ, უმბედურობის მიზეზი ლოკომოტივის გაფუჭება ყოფილა.

პეტროპოლისი. ვაჟინის ნავიანობის მართველის მეთაურობით ამხანაგობა არსდება. ამ ამხანაგობამ პეტროპოლისისა და შლისელბურგის შუა ზამთრობით უნდა გამართოს დილიქით მოგზაურობა.

ხარკოვი. აქაურმა საბეითალო ინსტიტუტმა ნოქტომბერს ორმო-

ცდა ათი წლის არსებობის დღესასწაული გაიხსნა.

3 ოქტომბერი

პეტერბურგი. გამოცხადდა უმაღლესი რესკრიპტი გენერალ-ლეიტენანტის ფონ-ვალის სახელზე, რომლითაც ის ვილნოს გუბერნატორად იქმნა დანიშნული. 7 ოქტომბერს ტამაშოვი ხელმწიფე იმპერატორს, დედ-ფალის იმპერატრიცის ალექსანდრა თეოდორეს ასულის, ტახტის მემკვიდრის და აგრეთვე სასახლის მინისტრის და ამალის წევრთა თანადასწრებით აკურთხეს წმ. სასწაულთ მომქმედი ნიკოლოზის სახელობაზე ახლად აშენებული საქალაქო მართლმადიდებელთა ეკლესიათა კურთხევის შემდეგ გამართულ იქმნასაუხზე. — 7 ოქტომბერს გემით „ბაკანა“ დაბრუნდა პეტერბურგში შპიცბერგენის ექსპედიცია უმაღლესად დამტკიცებულის კომისიისა შპიცბერგენის გრადუსებით გაზომისა. — 7 ოქტომბერს აკურთხეს რკინის გზის სატენიკო სასწავლებელი, რომელიც ახლად დაარსდა ნიკოლაევის რკინის გზის ალექსანდროვის მეხანიკურ ქარხანასთან.

ნიუ-იორკი. „New-York-Herald“-ის ციობით ვაშინგტონიდან შეერთებულს შტატებს უთხოვიათ ჩინეთისთვის, ჩვენი უფლება ტიანძინში კონცერსიის შესახებ მიიღეთ, რომ ამერიკის ვაჭრობამ ისეთივე ნიადაგი მიიპოვოს, როგორც სხვა სახელმწიფოების ვაჭრობას აქვსო.

ლუბანი. აქ გავრცელებულს ხმებს დევეტის სიკვდილის შესახებ საფუძველი არა აქვს და ხშირად ერთი მეორეს ეწინააღმდეგებიან; მაგრამ რადგანაც დევეტის მოქმედება უკანასკნელს ხანებში აღარა სჩანს, ამიტომ ამ ხმების სიმართლე თითქოს მტკიცდებაო.

მოსკოვი. უნივერსიტეტის წარმომადგენლების და სტუდენტების თანადასწრებით ჩაყარეს საძირკველი სტუდენტების საერთო სადგომის შენობისა.

მოსკოვი. ფარმაკევტა საპენსიო კასის წევრთა წლიური კრება, რომელზედაც მსჯელობდნენ ნახევარ მილიონიანი კასის გადაცემის შესახებ ხაზინაში, ძალიან მოუსვენარის ხასიათისა იყო. თუმცა გადაცემის წინააღმდეგი არავინ იყო, მაგრამ ფარმაკევტებთა თხოულობდნენ, შეგეტყობინეთ გადაცემის პირობებო. თავმჯდომარემ, ფერრინმა, კამათის ნება არ მისცა წევრებს და მაშინ 150 ფარმაკევტი დემონსტრაციულად გავიდნენ სხდომის ზალადამ.

ბაქო. მთავრობის წარმომადგენელთა და ადგილობრივ მცხოვრებთა გაიხსნა პირველი რუსეთის მაკმილიანური საქალეგო გიმნაზია იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის სახელობაზე. გიმნაზია დაარსდა ვაჭრის ტალიევის ხარჯით.

ნიჟნი-ნოვგოროდი. პროკური ითხოვს სასჯელის უდიდესი ზომით იქმნას დასჯილი ისევენი ალექსანდროვი; სხვა ბრალდებულთა შესახებ, გარდა მოიჯარადრე აბრამოვიჩისა, ითხოვს მცირე სასჯელის მიყენებას. აბლაკოვის ბრალისდებაზე

პროკურორმა უარი სთქვა. სხდომა დროებით შესწყდა. საქმე დღეს გვიანობისას გათავდება.

ქაჩი. მესამე დღეა ძლიერი ნორდოსტი ჰქრის შავისა და აზოვის ზღვათა ნაპირებზე.

სავასტოპოლი. თეოდოსიაში რკინის გზის ჰაკალაუზი დაიწვა. მიზეზი ლამა ჩამოვარდნილა.

ბელგრადი. სტუჟინის განსწილას წარმოთქმულს სეფე სიტყვაში ყოვლის უწინარეს გამოითქვა სიხარული იმის გამო, რომ სერბის ერმა მიიღო კონსტიტუცია იმ სახით, რა სახითაც გამოსცა ის მეფეს, როგორც ეს უკანასკნელმა არჩევნებმა დაამტკიცეს. შემდეგ სიამოვნებით არის აღნიშნული, რომ სერბიას ყველა სახელმწიფოებთან წესიერი და მეგობრული ურთიერთობა აქვს. სეფე სიტყვის წაკითხვის შემდეგ მეფემ ფიცი მიიღო კონსტიტუციის ერთგულებაზე.

პარიჟი. საფრანგეთის კონგოლამ მოსულის ცნობებით, კონცესიონერი სპილოს ძვლის ხელში ჩაიკაფებდა უწყალოდ ჰზოცავენ ადგილობრივს მცხოვრებლებს. ამ გვარმა მოქმედებამ დასცა ბელგიის კონგო და სახიფათოა საფრანგეთისთვისაც. მმართველობამ დაადგინა, იმოქმედოს.

სოციალ-დემოკრატიული საზირო

ცნობები:
კავკასიის რკინის გზის მატარებლების მოსვლა 6 მაისიდან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარე პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის **ტფილისიდან ბათუმში:**

სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 11 წამ. (10 საათ. და 9 წამ.), ბათუმში ჩავა საღამოს 7 ს. 58 წ. (8 ს. 56 წ.)

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ., ბათუმში ჩავა დილის 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 57 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 6 ს. 48 წ. (7 ს. 46 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში:
სამგზავრო მატარებელი № 7 დილი 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

ტფილისიდან ბაქოში
სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დილის 9 ს. 17 წ 10 ს. 15 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 1 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.), ბაქოში ჩადის დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 8 ს. 18 წ. (9 ს. 16 წ.), ბაქოში ჩადის დილის 11 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.).

ტფილისიდან შარსში:
ფოსტის მატარებელი საღამოს 10 საათ. 10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დილი 12 ს. 3 წ. (1 ს. 21 წ.)

ბათუმიდან ტფილისში:
სწრაფი მატარებელი № 2 საღამოს 9 ს. 42 წ. (10 ს. 43 წ.). ტფილისში ჩამოდის დილის 7 ს. 57 წ. (8 ს. 55 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 საღამოს 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 38 წ. (8 ს. 36 წ.).

განცხადება

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რაკავკასიის მთავარ-მართებლის გამკარგულებით მომავალი არჩევნებტფილისის ქალაქის საბჭოს ხმონებისა მოხდება სამ საარჩევნო კრებაზედ. ერთ კრებაში შევაჯენ 1, 2, 3 და 4 საპოლიცია ნაწილებამომრჩეველნი, მეორეში—6 და ნაწილების ამომრჩეველნი და მესამეში—8, 9 და 10 ნაწილების ამომრჩეველნი. ქალაქის გამგეობა, შევდგა რა ამომრჩეველთა სიების შედგენას, იწვევს ბნ-თ უძრავ ქონებათა პატრონთ გაანთავისუფლონ თვიანთი ქონებანი დაფასების ვარდა დასახადის იმ დარჩენილ ფულისგან, რომელიც 1901 წლის 1 ილისამდე ითვლებოდა, ამასთან იმავისაც უძრავი ქონებანი და სავაჭროსამრეწველო დაწესებულებანი ქალაქის რამდენსამე ნაწილში აქვთ, უნდა წინდაწინვე გამოაცხადონ გამგეობას, ხმოსანთა არჩევანების დრო რომელ საარჩევნო კრებაში ჰსურთ მონაწილეობის მიღება.

(3—5.—2)

სოციალ-დემოკრატიული საზირო

ცნობები:



როიალები



ზიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შექენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გარდახდით.

პ რ ე ს კ უ რ ა ნ ტ ე ბ ი

მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა

ბ. 8. მიხიგანიანისა

Музыкальное дело

М. МИРИМАНЯНА

Тифлисъ. Дворцовая ул.

(24—5.—2)